ფასი 10 კაპ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



№ 2. ყოველკვირეული ჟურნალი 1907 წ.

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ქალის სახე გულის სარკეა.

თბილისი

მე სრულებით არ უყვარვარ!

ეხლა დავრწმუნდი — ვუყვარვარ!

იდეალების გახრწნა

—

რა ხერხსა და ღონეს არ ეპოტინება მთავრობა და მისი ყურმოჭრილი მონა-მოსამსახურე შავრაზმელთა მწერლობა, რომ რუსეთის დიდებული აზრი—იდეალი გახრწნას და გაუპატიუროს!..

ვინ არ იცის, რომ ყოველივე ახლის მცნების, ახალის მიმართულობის დასაუძლურებლად უებარ საშუალებად მიჩნეულია თავდაპირველად ამ ახალ მიმართულებისა და მცნებისაგან გამოიწუროს, გამოიწოვოს ცხოველ მყოფელთ სული და გული ⁄ როცა იგი გამოიფიტება, ახალის მცნებისა და მიმართულების გარეგნობა—ფორმა თავის მფარველობის ქვეშ მოაქციოს, თითქოს მისი მზრუნველი და პატრონი იყოსო.

ეს ყიზილბაშური სისტემა—ეგ ვერაგული ხრიკი არ ახალია—ძველია რუსეთის ბიუროკრატიულ მართვა-გამგებლობის ისტორიაში... სხვათა შორის, ასე ექცეოდნენ საქართველოს მეფეთა ნაშთებს—ბატონიშვილებს, თვით ქართველ ერს და სხვა დამონებულ ხალხებს ძცირე თუ დიდს აზიაში...

ამავე გზას ადგია ამ ჟამად თვითმპყრობელი ბიუროკრატია რუსეთის ხალხის განთავისუფლების საქმეში. მართალია, აგი არც თავსგასულ ძალმომრეობას ერიდება შიდა რუსეთში თუ განაპირა ადგილებში: ცეცხლითა და მახვილით განვლო ბიუროკრატიამ მთელი აღმოსავლეთი -- დასავლეთი საქართველო... ან რა აქვს მოსარიდებელი? ვისი ან რისა ეშინიან! მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში იგი განმათავისუფლებელ მოძრაობის საქმეს თითქოს თავის მფარველობის ქვეშ აყენებს...

მთავრობამ იცის და კარგადაც იცის, რომ ხალხს თავისუფლება ეჭირვება, როგორც თევზს წყალი, ეჭირვება მოქალაქობრივი თვითგამორკვევა და ძალ-დაუტანებელი ცხოვრება, როგორც ფილტვების ჰაერი. კარგად ესმის რომ მდინარეს უკუ დენა შეუძლებელია, რაც გინდ უზარმაზარი ზღუდით გაირიყოს იგი და ამიტომ ეხლა ყიზილბაშურ გზას ირჩევს თავის არსებობის შესანარჩუნებლათ.

იგი ამღვრევს, რაც ძალა და ღონე შესწევს, წმინდა წყაროს თავისუფლებისის, აყუჩებს მალოდინის სიმწვავეს და სასოს უკარგავს ყველას, ვისაც კიდევ ოდნავ იმედი უღვივის გულში... ყველას არწმუნებს ნუ შესდგომიხართ შეუძლებობის თაროზე, ერთბაშად არა იქნება—რა, ისტორიამ ნახტომები არ იცის, тише ѣдешь, дальше будешь-ო და სხვა მაგისთანა ლათაიებით სურს მოლალოს და დააცხროს მოთმინების ფიალა,..

და რუსეთის ხალხიც ითმენს და თან იღლება, იქანცება, სასო ეკარგება... რასაც გუშინ ხელით ებღაუჭებოდა, დღეს მოშორებით ეჩვენება, რაც გუშინ მოსალოდნელი იყო, ⁄ დღეს შეუძლებლად მიაჩნია... უმრავლესობა, მასა—demos-ი დიახაც გულ გატეხილია და იგი არავითარ სიცხოველეს და ინტერესს არ იჩენს მესამე სათათბიროს არჩევნებში.

ორმა წინანდელმა რა სიკეთე მოგვიტანა, მესამემ რა უნდა შეგვძინოსო!

ბევრი შრომა და ზნეობრივი ძალა დასჭირდება მოწინავე პარტიებს, რომ ხალხის გაბზარული გული გაამთელოს და მისი მოქალაქობრივი იდეალები და მაჯის ცემა გააცხოველოს.

ვ ა რ დ ი.

ლექსი პროზათ.

ყაზიმირ ტეტმაიერიდან.

ერთხელ ვიდექი ნიცცაში ზღვის ნაპირზე. ხელში მეჭირა წითელი ვარდი.

ჩემ წინ იყო ზღვა წყნარი, ლაჟვარდოვანი, ოქროსი, ვერცხლისა და ცის ფერი, მოფენილი შუადღის მზის სხივებით.

ნაპირთან ახლოს ტალღის მოთამაშე მარგალიტები და ზურმუხტები ფეხქვეშ მეგებოდნენ გუგუნით, რომელიც ისევე ერთნაირი და რითმიული იყო, როგორც ჩანგის სიმების ჟღერა, როცა მათ ცალ-ცალკე თითით ეხებიან.

სპეტაკ ლურჯ ოქროსფერ ციდან გამოიყურებოდა უშველებელი ცეცხლ-მფრქვევი მზე. იდგა გაზაფხული.

ზღვას დასტრიალებდა რამდენიმე თეთრი ცელ-ნამგალა. ისინი ხან გულით ასკდებოდნენ ზღვის ზედა-პირს, ხან მაღლა შეინავარდებოდნენ. სწორედ ასე დაჰფრინავენ ხოლმე ველ-მინდვრებზე პეპელები.

შორს, აღმოსავლეთისაკენ მისცურავდა გემი. უკან მას მიჰყვებოდა კვამლის თეთრი ზოლი. გემი თანდათან წყლის უდაბნოში იკარგებოდა.

მე გადავაგდე წყალში ვარდი... ტალღა ბრუნდებოდა და ჩემი ვარდიც უკან წაიღო.

მე ვხედავდი როგორ მშორდებოდა ვარდი. იგი ჯერ პირველად წითლად მოსჩანდა ალმასის ზღვის ქაფზე, მერე კი ფერ-მკრთალად ზღვის ზურმუხტებზე.

ერთი წუთის შემდეგ ტალღის მოქცევის დროს ვარდი დაბრუნდა ჩემთან.

მე შევნიშნე მხოლოდ, რამდენიმე ფურცელი ჩქარი მიმოსვლის გამო მოშორებოდა ვარდს ⁄ მოსცურავდა ცალკე.

ტალღა კიდევ უკუ იქცა. წაიღო თან ვარდი. მაგრამ ერთი წუთის შემდეგ ყვავილი ხელ-ახლა

ჩემ ფეხებთან იყო, მობრუნებული ტალღისაგან მოტანილი.

მხოლოდ მიმოსვლის დროს დაცვინული ფურცლები, ტალღისაგან ცალკე მოტანილი, უფრო გამრავლებულიყო.

დიდხანს ვიდექი ზღვის ნაპირზე.

ტალღა მოდიოდა ჩემკენ და ხელ-ახლა ბრუნდებოდა. ჩემთან მოჰქონდა თანდათან ფურცელდაცვინული ყვავილი. მოშორებული ფურცლების რიცხვიც უფრო და უფრო მატულობდა.

მალე ვარდისაგან აღარა დარჩენ რა, გარდა ერთი მუჭა ზღვის ზედა პირზე დაყრილი ფურცლებისა.

ზღვასაც კიდევ და კიდევ მოჰქონდა ისინი ჩემთან.

განა ესევე არ ემართება გულს?

გატეხილი,—იგი მოსცურავს ჩვენთან ფურცლების ერთ მუჭად ქცეული.

ბრილლი

„დ უ მ ა“ და მ გ ე ლ ი.



ორჯელ ვნახეთ მიეპარა
ეს ოხერი ჩუმა-ჩუმა,
საწყალი სულ მაღლა ხტოდა:
ვაი „დუმა, დუმა, დუმა!“

ეს მესამეთ აგერ მისდევს,
კიდევ უნდა გაჰკრას კბილი,
მხამათ კი არ ამოექცეს
მესამეჯერ „დუმა“ ტკბილი!

ჭეშმარიტად:

* მეტად ძნელია იძულებული სიჩუმე, მაგრამ ბევრად უარესია ძალდატანებული ლაპარაკი.

* სიმდიდრე მეგობრებს ამრავლებს, ნიჭი კი —მტრებსა.

* ბავშვები და სულელები ხშირად სიმართლეს წამოისვრიან ხოლმე, ხოლო მოზრდილნი ბრძენნი იშვიათად შეისმენენ ხოლმე ჭეშმარიტებას.

* ბუნებაში ყოველისფერი აზრიანად არის გაჩენილი, გარდა ადამიანისა.

* ზოგი გარემოება და ყოფა სწორედ კბილის ტკივილსა ჰგავს; იგი სიცოცხლისათვის საშიშო არ არის, მაგრამ სასიკვდილო ჰრილობაზე უფრო მწვავეა და ადამიანს უფრო მეტად სტანჯავს.

* ზოგი კაცი მეორე ხარისხის ადგილზე აშუქებს, ხოლო თუ პირველებში ჩადგა, იგი ბჟუტვას იწყობს და მალეც ჩაქრება.

ცოლქმრული ბედნიერება

ვუ, დამიდგეს თვალეში, ჩემი ქმრის ქანდაკება — ძველს რქები ამოსვლია თავზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოეთის მწერლები და მოღვაწენი.



კლემანსო.

კლემანსო, ჟორჟ ბენჟამენ (Clémenceau) ეხლანდელი მინისტრთა პრეზიდენტი საფრანგეთისა დიახ შესანიშნავი და გამოჩენილია ევროპაში. იგი უკვე ხანში შესული კაცია (66 წლისაა) მაგრამ ძალ-ღონით და მხნეობით აღსავსე. პროფესიონალობით ექიმია. სიყმაწვილეშივე ეტყობოდა უკიდურესი მიმართულება; ხუთი წელიწადი ამერიკაში დაჰყო, სადაც შეისისხლხორცა დემოკრატიული აზრები. სამოღვაწეოდ გამოვიდა 1869 წელს და ერთბაშად დაიპყრო საზოგადოების ყურადღება. მრავალგზით იყო არჩეული პარლამენტის დეპუტატად. პარლამენტში ყოველთვის უკიდურესი მემარცხენე იყო. მას მეტ სახელად ეძახდნენ „სამინისტროს დამთრუნგველს.“ მთელი თავისი სიცოცხლე რესპუბლიკის დამცველი იყო. მის ბუნებას ორპირობა არ სჩვევია არას დროს მედგრად წინ უდგებოდა გამბეტას, ფერის, მაკმაგონს, ბულანჟეს და კარნოსაც. 1892 წელს კლემანსო პოლიტიკურ ჩარხს ქვეშ მოექცა. იგი გარეულ იყო ცნობილ „პონამის საქმეში“ და თითქმის ხუთმეტის წლის განმავლობაში მოშორებით იყო პოლიტიკურ ცხოვრებას. იგი რედაქტორობდა მხოლოდ თავის მეტად გავლენიან გაზეთის „სამართალს“ (Sustice), რომელიც დაარსსა 1880 წელს. ეს ორი წელიწადია სამინისტროს სათავეში დგას და რაც ძალა და ღონე აქვს ცდილობს რადიკალურ რეფორმების შეტანას საფრანგეთში, მაგრამ ამ ბოლოს დროს მის პოლიტიკას წინააღუდგენ სოციალისტები, რომელთა შორის წინედ დიდი სახელი და ნდობა ჰქონდა დამსახურებული. ეხლანდელ პარლამენტში, კლემანსოს დიდი მომხრე ჰყავს, თუმცა ამ ორი თვის წინედ კლემანსოს კინაღამ კისერი მოტეხა ეგრედ წოდებულმა „მევენეთა რევოლიუციამ,“ რომელმაც ფეხზე ფეხზე წამოაყენა მთელი სამხრეთ საფრანგეთი.

„ნიშადურს“

ვალიკო! ღმერთმა გიკურთხოს—
ნიჭი, ფოლადი გულია,
მამულისადმი ლოცვები,
მოძმეთა სიყვარულია;
შენი უნარი, მხნეობა,
ეს შენი გამოცდილება,
გარს შემოხვეულ ტურა-მგელთ —
ავსულთა დამორჩილება!
გიდღეგრძელოს „ნიშადური,“
გიმრავლოს მკითხველთ გუნდი...
არ უღალატო სიმართლეს—
სხვა გზა ყველაი მრუდია!
ღმერთმა გაშოროს ჯარიმა,
გადასახლება, „მეტეხი“!..
„ნიშადური“ გაალმასე—
მკვეთრი იყოს, ვითა მეხი.
იშრომ-ილვაწე შენებურ,—
არ შეგიყვარდეს ფულია,—
„რასაცა გასცემ შენია,
რაც არა დაკარგულია“!..

ვ. კ.

ამირანი რამ გააცინა.

—

ამირანი დიდი შჯულიანი და ახოვანი ვაჟკაცი იყო. ის შეცდა ერთხელ, ხოლო მეტს აღარ შეცდება.

ერთ დღეს ამირანი ლომებზე ნადირობდა მყინვარის ფერდობზე უტეხი ტყეში. შემოაღამდა. თოთხმეტი დღის მთვარე თავმომწონე სიდინჯით ამოცურდა შავით მოსილ გარესკნელიდან და ლაჟვარდ ცაზე კეკლუცათ დაიჭირა გამოჩინებული ადგილი თავისი სხივ მომცინარე ავგავანით. მთვარის შუქზე, შუა ტყეში, ამირანმა უცებ თვალი მოჰკრა ტრიალ მინდორს და იმ მინდორზე უცნობს, ნაზს, არა ამ ქვეყნიერ არსებას. უცნაურ გრძნობების ტალღები მოაწვა ამირანის გულს და იგი, ამცბარი, შედგა იმ ადაგას, საიდანაც თვალი მოკრა იმ უცნობ არსებას. ხოლო მალე გამოერკვა გაოცების ბურანს, მიუახლოვდა მას და უზაკვო გაბედულებით დაუწყო თვალიერება...

ის იყო ადამიანი, მარა მას, ამირანს, არ ჰგავდა. მაღალი ტანისა იყო, თუმცა არა მამაკაცის ტოლა. მხარბეჭსა და თეძოებში განიერი, წელში წვრილი იყო კალამსავით, ფართო მკერდი ორ ადაგას რაღაც ელექტრონის ძალის გამომცემით იყო აბურთებული; გრძელ წამწამებით და გრძელივე, შეკრულ წარბებით დაშვენებულ ლაჟვარდს, ყუყუნა თვალებში თითქო ერთად ჰკიანთობდა ცის ყველა მნათობები; სწორი, ზომიერი ცხვირი სიტურფეს უმატებდა რძე-და-ღვინისფერ ლოყებს, რომელთაც უკვდავ იერს აძლევდა მარჯნის ფერი ტუჩები და მათ შუა სადაფის ფერათ მოელვარე კბილები; აუწერელი სინაზის ოქროს თმების გრძელი ნაწნავები კოჭებამდი სცემდა...

ის იყო ქალი, რომელიც ჯერ ამირანს არ ენახა.

ამირანმა მაშინ პირველათ იგრძნო თავისი მამაკაცობა და შეატყო, რომ რამდენათაც მეტს აკვირდებოდა არსებას, იმდენათ მეტს ჰკარგავდა სიმხნეს და გაბედულობას. ამიტომ მოიკრიბა სულის ძალი, ჩახედა მას თვალებში, მარა იმ წუთსვე იტაცა ხელი გულზე: უხი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროინდელი მოსამართლე.

„მზე ადარ მზეობს ჩვენთანა:
„დარი არ დარობს დარულად!“—
მართლებს ვუსწრაფებთ სიტყტყლეს
ხან აშკარად ხან ფარულად!

ლვემა ძალამ შიგ ჩაუწერა ორი ტნება, რაც ორ ნეშტრათ და ორ ნეტარებათ მოხვდა მას...

ეს ორი ტნება იყო **სიყვარული** და **უკვდავება...** ორივე ეს ტნება იმ წუთსვე ორ გრძნობათ იქცა ამირანისათვის, ალსავით მოედგა მას და შეეპერო სრულიათ.

ამირანმა მაშინ ბერველათ იგრძო სიყვარული, შეუყვარდა იგი ქალი და მოინდომა გრძნობების გაზიარება.

დაბერა გამოდაბრაკეა, მარა, აჭა, სასწაული! ის, რომელიც მესს ხელით იჭერდა, ალვას თვალთა შუქით ანთებდა და გრგვინვა ტისას ხმით ჭეარვდა, ესლა ამ ალიდან სატყვის ამოტანას ვერ ასერხებდა, რომ თავის საყვარელის არსებისათვის ეთქვა, რასაც გრძნობდა. გასამხნევებლათ მან გაანძრია თავი და დაჭერა მიწას ფეს�ეერეა არე-მარე. ალბუზის მწვერვალთან თოვლის ერთი წალი გადავარდა მეინვარის კატარზე. ტყეები ხმაურდა, ნადირებმა სიჩუმალი შექნა. ქალი კინალამ წაიქცა, მარა ამირანმა ხელი მოკიდა და შეაჩერა. ამ ხელის შეხებამ გაბედულობა მოუმატა ამირანს და ძალავს, როგორც იქნა, შეიძლო და უთხრა:

— მე ამირან ვარ, მაშაკატი...
ძალა სამხნისა....
გული სიწრფოებისა...
სული უბიწოებისა...

ახლა, შენ რო გიმზერ, ვგრძნობ სიყვარულს და უკვდავებას... მინდა შენც უკვდავ გეო და ის კატორიობაც, რომელმაც შენ შეგქმნა. ამიერ შენ იქნები ჩემი უბირველესი, სათნო დგთაება...

ქალმა ახედა მნათობებს, იქიდან მოისმა ტიური გარმონია ხმათა... ამირანს ესმოდა და გულს წვდებოდა ქალის ხმა...

— მე ვარ მინდა*), მთის გადადმული დედა-კაცი.
ძალა სიყვარულისა..
გული სიტკბოებისა...
სული ნეტარებისა...

გაანზერ და გასედავ, ვგრძნობ სიამოვნებას და ვარ კმაყოფილი.. მინდა შენც კმაყოფილ იყო... ამიერ შენ იქნები ჩემი უბირველესი, სათნო მამაკაცი.

გულ-უბრყვილო, ქალის სულარ მტოდნე და სიყვარულ-გამოუცდელი ამირანი ადგრთოვანდა. მას მოდგამდა დიდ-სულოკნობა, და ამ გრძნობამ გადაწყვეტინა ჩამოიტანოს ტიდან უკვდავების ტეტსლი და მითი უკვდავ ყოს სტრფო გულისა— მინდა და მისი მშობელი კატობრიობაც; ხოლო შეუდარებელმა რაინდობამ სიტოტსლე გაწირვინა მას ამ მადლიანი განზრახვის შესასრულებლათ. ფიქრის უმალვე საკმეს შეუდგა: ერთს იდლიაში კარჩასალის მთა ამოიდვა, მეორეში ბულისა, ცალი სელი ბრუტ-საბძელას მოკიდ, მეორე მეინვარს, აირბინა ალბუზის მწვერვალზე, ეს მთები ერთი მეორეს დაადგა, ავიდა ზეცას და მიტანა გაუქრობელს, თავის-თავად ტეტსლს უკვდავებისას. ამირანმა დადვა ტეტსლი ასხის მთის ქვის კეტზე და წ-მოიდო.

ეს იგრძნეს ტის ძალებმა და შეშფოთდენ: უოსტატესი მათგანი, რომელსაც ხერხი ჭქვიოდა, მიუახლოვდა ამირანს, მიესალმა და გამოჭკითხა მიზეზი სამეფლობელოთა საზღვრის უკითხავათ გადალახვისა.

კადნიერმა ამირანმა შეუბოვრათ უთხრა, რაც მიზეზი იყო მისი ცალ ასვლისა.

ხერხს გაეცინა, რალაც ფუზეერი აუნოსებინა ამირანს, რომელსაც ისე ძლიერათ დაანტხინკვა, რომ კაისანს თვალთაგან ცრემლი დიოდა... ცრემლების შეშრობის შემდეგ მას მხედველობა ერთი ასათ მოამატებოდა. მაშინ ხერხმა ჩაახედა ამირანს ძირს, ქვეყანაზე, და დაანახვა მისი სატრფო— მინდა, რომელიც ვიგანდარა ქერა კაცს ჩახუტებოდა და ვნებათა ღელვისაგან ათრთოლებულ ხმით ეუბნებოდა:

„გიმზერ, რადგანაც მიმზერ, გესუტები რადგანაც მესუტები, ვ რძნობ სიამოვნებას და ვარ კმაყოფილი. ამიერ შენ იქნები ჩემი უბირველესი, სათნო მამაკაცი“.

ამირანი შეკრთა. მისი მძლავრი არსება ერთი ისე ძალუმათ შეირყა, როგორც არაოდეს არც წინათ და არც მას შემდეგ... მან იგრძნო, რომ თვალებზე ბინდი გადაეკრა, გული მოწყდა და სადღაც მიემალა... გულს გაჭვავ გრძნობა, გრძნობას—გონება... ბევრი ეცადა მოკრიფა გონება, მარა ვერ შეიძლო, იმას შერჩა მხოლოთ ძალა სიმხნისა! იმის იმედნეულმა გამოსწია ქვეყნისკენ, მარა გონება მისდიდს დაებნა გზა: იმის ნაცვალთ, რომ იმ გზით დაბრუნებულიყო, რა გზითაც მოვიდა, ის გაემართა იქით, სადაც ტის ძალების ბინა იყო. ტის ძალები, ხერხისაგან გაფრთხილებულნი, ერთათ დარაზ-

---

*) ქალის სახელი დასავლ. საქართველოში.

მულ-შეიარდებულიეკნენ, დახვდენ ამირანს, გაუმარ-თეს ბრძოლა, სძლიეს და დაგდებინეს ცეცხლი. მერე ჩამოიეკნენს ქვეყნათ, იალბუზის მწვერვალზე კლდეში ჩაარჭვეს რკინის ბალო და იმაზე მიაჯაჭვეს ამირანი, ზეცის სამკედლოში ცხრათვალ ნაჭედი ჯაჭვით, რომ მელიც წელზე შემოავლეს ექვს-თვითვე. შემდეგ ცის ძალებმა რის ვიეკვლახით და ჭაბან წუვეტით, ამირა-ნისაგან იალბუზზე ატანილი მთები თავ-თავის ადგილს მიიტანეს, რომ სხვასაც არ აშლოდა სიდერდელი ცაში ასვლისა...

ამირანი ეი-მაშინვე შეუდგა ჯაჭვის დაწეეტას, მარა დარწმუნდა, რომ უამხანაგოთ ვერ მოერეოდა, და ხელი მიჭეო ბალოს ამოგლეჯას კლდიდან... ათასი წლის ჯაფის შემდეგ მან ოდნავ შეარეია ბალო.

ეს შენიშნეს ცის ძალებმა და შექნეს თათბირი. გადაწეეტეს: შეეიჭიგოთ ამირანი, თვარა ოდესმე უთუოთ აიწეეტს, აქ შემოგვეავრდება, კვლავინდებურზე უფრო გაეთორებული, მოგვტაცებს უკვლავების ცეცხლს და ერთს დავიდარაბას გადაგეკიდებსო.

მიუგზანეს მოციქულათ ხერხი...

ემირანმა უთხრა: „ზეცასთან შერიგების ურჩი არა ვარ, ხოლო რა ბირობითო?“

ცის ძალებმა ხანგრძლივი ბჭობის შემდეგ ეს დასა-კვნეს: „ისეთი რომ ბირობა დავუდვათ, რომ მისი ასრუ-ლებით, ვერ მიხვდეს ისე, სულის ძალა, შემოქმედე-ბითი ნიჭი და სხეულის ღონე ნელ-ნელა, თანდათანობით აკლდებოდესო; მაშინ უფრო სიმედო იქნება მისი შემორიგებაო და შეუთვალეს: „ქალი შეირთეო... ვინც მოგეწონოს დედა მიწის ზურგზე ის აირჩიე და შენი იქნებაო, ან ინატრე, როგორიც გინდა და ჩვენ გავა-ჩენთ შენთვისო“...

ამის გაგონებაზე ამირანს გაეცინა, ბირველათ მას შემდეგ, რაც მიჯაჭვული იყო... მერე მწარეთ ამოიოხრა, ციდან მოგზავნილ მოციქულს ისე შეუბღვირა, რომ მან ამჯობინა გაუჩინარებულიეო...

ხოლო თვით ამირანმა ბალოს ამოსაგლეჯათ ისევ ჯაჭვს დაუწეო ქიჩმაჩი...

ამირანი ძალიან ჭკუიანი და ახოვანი ვაჟკაცი იყო: ის შეცდა ერთხელ, ხოლო მეტს აღარ შეცდება...

თ. მაგმაძე.

სცენები სცენისათვის.

მაჭანკალი.

დასანიშნი ვაჟი შეხვდა მაჭანკალს...

„ძაღლი ხსენებაზეო,“—გამარჯობა შენი, ატა-ტო?..

— გაგიმარჯოს, შავარდენო!

— თუ ღმერთი გწამს, მომეხმარე: მომედვა და მომეკიდა, დამწვა და დამლანჯა მისმა სიყვარულმა! გუშლამ შევხდი: დამინახა-დევინახე, გამიცინა-გაუცინე, მიქნა თვალი—ოოუეუეუეუ... წაწინწილებული ენა ვერ იტყვის [illegible] წყეული!.. წვრილი, მალალი, დუმბაძის ხატივით გაბრწყინებოდა სახე... დამეცა-მეხი, გამიწყრა-ღმე-რთი, დამესხა-ტარაბუაი, დევიბენი კაკალი კაცი და ქე გამიშპა ხელიდგან!.. აბა, აწი შენ იცი, ატატო, რავა ეცდები, მზითებში არ მოგატყუონ!..

— ლაპარაკი საჭიროა არ არის... გოგოა—გოგო რომ, გლახუნა ჭანკვეტაძეს კი არა, დურნოი მი-ნისტარს დაშვენდება... რო გადახედავ ალაგედგან, ეზო აქვს, მარა რა ეზო!—მწვანე ბალახითაა გად-აბიბინებული იქაურობა... სახლი ორ სართულზე წამოჭიმული, ნალიე, ბელელი, წყლის ჩამური, ოტკის ზაოდი, ცხენი-თივაზე, ძროხა-ბალახზე, თხაი, ცხვარი-მარანზე, ღორები, ქათმები და ყვერული! ყველა აი შენ თვალის წინაა!.. მართალია მისი არაა, მარა მისი მეზობლის ხომაა—გაბილაის...

მუშა მარა, რა მუშა! რომ წამოხტება უთენია, იბანს, იბანს, იბანს,—ირეცხს, ირეცხს, ირეცხს—დანკალებულ — დასკასებული აქვს ყველაფერი! რომ მისდგება: ხვეტავს, ხვეტავს, ხვეტავს; წმენ-დავს—ხვეტავს! მთელი ოჯახის გვანი მის თავზეა... მარა ერთი რაცხა, უდიდებელი—უხილებელი, იმი-სანაი აქვს ჩამომავლობით ჩამოყოლებული რომ შენ კი არა, სირმებში ჩამჯდარ—გამოწკიპინებულ ხელმწიფის კაცს პროპურჩიკს არ აჩვენებს!...

— დედავ, წავხდი!.. რათ მინდა მისი ჩვენება —არ მომიტანს თუ?!? მიუგო ვაჟმა და გაშპა ალაგზე.

ვასო ურუშაძე.

თხოვნა ხოლერასადმი.

ჰოი, უზენაესო, უჩინარო და უხილავო, აწ ვგრძნობთ მოსვლასა შენსა ბჭეთა შინა ქალაქისა ჩვენისა. და სიხარულსა ჩვენსა არ აქვს ზღუდე. უპირველესა ყოვლისა გვიკვირს ის, თუ როგორ შემოუხველ ხიშტებსა „ოხრანისასა“ და როგორ აუხვიე გვერდი რაზსა მას შენებრივ უჩუნარსა, რომელთა თვალი ისრისა უსწრაფეს სწრაფია და ფეხნი ჩუმნი, ვითარცა აფთარისა, რომელი ეპარება მსხვერპლსა თვისსა. ძლიერთა ზედა უძლიერესო, ვერა გავბედავთ ჩვენ მწირათ შენსა დახვედრას. მიიღე სალამი ჩვენი, მეფეთა—ზედა მეფეო, და მოძებნე საკადრისი შენი. მაშინ, ოხ, მაშინ, წინ-წილით და ენითა გეტყვით შენ ქებას და ღაღადს ვყოფით—ესტუმრა დიდებული დიდებულსა და მო-ნათა ზედა განხეთქა აპაური მისი და განაგდო უდელი მისი. ისმინე ჩვენი, ხორც უსხმელო, უბი-წოო, მამაო ხოლერა!

რიგოლეტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჯიბის აკუშორისაგან“ გამართული მიტინგი ქალაქ თელავში.

მოხუცნო, რვალნო, ქალნო და რძალნო,
ივანესთან შემოკრბით კრძალვით,
„კასაში“ ფული შემოიტანეთ,
და მერე მოკვდით „უსტავის“ ძალით!

მესტვირული

„დროის შესაფერად“

ამ წყეულმა დროებამ
არა ერთ გზის გამამწარა,
ხან მქმნა მეფე მბრძანებელი,
ხანც თვალები გამამთხარა,
ოქტომბრისა მანიფესტმა
მეც სხვებივით მამახარა...
დროს ავყევი, ხალხს ვუყურე
გავიცინე, დავიღრიჯე,
ვტაცე ხელი პაგონებსა—
ფორმისათვის დავიგლიჯე,
მივყე—მოვყე ხალხის ღელვას,
კინაღამ არ დავიგლიჯე...
სტოლზე შევხტი, მეც ვსთქვი „რეჩი“,
ვქადაგებდი ორატორი,
და სიტყვებიც დავისწავლე
სალმისათვის ორათ ორი,—
„მოქალაქე“, ამხანაგო“.—
მიტინგებზე მონაჭორი!..
მადლობა ღმერთს, გაიარა
ხალხის ტვინის ცხელებამ,
მიტინგებმა მთლად მომიდნეს
მამიჩემის ცხონებამ,
პაგონებიც დავიკერე,—
არ დამკარგა მონებამ...
ვცხოვრობ ჩემთვის პატიოსნათ:
მიყვარს ხალხის განათლება,
მეამება, თუ ჩემს ნაცნობს
ერგო სადმე გამწესება,
აგრე, ხოლმე, ყოველ შრომას
ფასი რამე დაედება!..
მე უფასოდ ხელს ვერ გავძრავ,
აბა, ეს რა საკადრია,
თუ ჯამაგირს კარგს მიბოძებთ,
რაც ჩემთვისა სადარია,
პარტიაშიც ვიმუშავებ
უსახელოთ, ვით მკვდარია...
მე თუ არ ვარ, თქვენი ბრძოლა
ნეტავ რაში მეკითხება,
ან პარტია, ქადაგება—
წუთი სოფლის შეჭიდება,
მე თუ არ ვარ, ჩემ შემდგომად
ქვა ქვაზეც ნუ დაიდება!..
ვცხოვრობ დროის შესაფერად:
აქაცა ვარ, იქაცა ვარ;
კაცი კაცთა ნათესავი
მე მუქთაზე არ დავდივარ,
სადაც როგორ მომიხდება,
სწორედ ისე გამოვდივარ!..

ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესანიშნავი სურათები.

ბანაობა ძველს საბერძნეთში.
გიუის ნახატი.

რაა რეაქცია?—

ხალხი რო დაბეჩავდება,
გამოელევა ქანცია
ბიუროკრატი ვაჟკაცია,—
აი, რაა რეაქცია!
როცა ბოროტი ხარხარებს,
კეთილმა სისხლი აქცია,
დაიჩაგრება ნაცია,—
აი, რაა რეაქცია!
როცა თავისუფალ ბაასს
სულ გაუვა ვაკანცია,
არც პარტია, არც ფრაქცია,—
აი, რაა რეაქცია!
როცა უცბათ მოისპობა
ფურცელი-პროკლამაცია,
აოხრდება რედაქცია,—
აი, რაა რეაქცია!
როცა ქალაქი, სოფელი
ნანგრევათ გადააქცია,
არც ვარდი ყვავა, არც ია,—
აი, რაა რეაქცია!..
როცა ცივს ქვეყნებში მიდის,
ვინც კი იყო მამაცია,
„სტუპაი,“ წადი, „გნაცია!“—
აი, რაა რეაქცია!
როცა ხაზინა კოტრდება,
ვარდება ასიგნაცია,—
ეცემა ობლიგაცია,—
აი, რაა რეაქცია!
როცა ძალას შემოიკრებს
მემარჯვენეთ კოალიცია,
გაჩნდება პროვოკაცია,—
აი, რაა რეაქცია!
როს პარტიაში მოხდება
სრულ დიფერენციაცია,
გამოვა ორი ფრაქცია,—
აი, რაა რეაქცია!
როცა მაღლა აიწევა
ჩინოვნიკების აქცია,
მარჯვეა მათი სანქცია,—
აი, რაა რეაქცია?
როცა ერთობ გახშირდება
ქვეყნათ ექსპროპრიაცია,—
სულ სხვისას ხელი სტაცეა,—
აი, რაა რეაქცია!
როცა ძაან მარჯვეთ დადის
ჟანდარმი და პოლიცია,
თვით ჯაბანიც მამაცია,—
აი, რაა რეაქცია!
მაგრამ სანამდის? მოვა დრო,—
მოხდება პერტურბაცია!
მაშინ ვნახავთ, რაც ვაცია,
რეაქცია, რეაქცია!

თომა პუსა.

შეურიგებელი მტერ-მოყვარენი.

თავადობა გაიძახის:
„ჩვენ გვწამს მხოლოდ საკუთრება!“
გლეხკაცობა პასუხს აძლევს:
„მიწა და თავისუფლება!“

ცოლ-ქმრული ბედნიერება.

„სდევთ მიჯნურთა ფათერაკი“
ანუ
„რაცა ცოლსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების“
(3 მოქმედებიანი ტრაღი-კომედია).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1877

1889

1897



ილია ბრიგოლისძე ჭავჭავაძე.

აღსრულდა!

საქართველოს მზე ამოეფარა შავ-ბნელ წყვდიადსა!

აღარა გვყავს ილია ჭავჭავაძე!

მოგვიკლეს იგი!

მოხდა ის, რაც დაუჯერებელია, რაც გრძნობა-გონებას ვერ მოუნელებია, რასაც ვერ შერიგებია გამწარებული გულის ცემა!

ქვეყნის მტრებმა, ერის მოღალატეებმა სიცოცხლე წაართვეს იმ კაცს, ვინც ამ სიცოცხლეს მტლად და ხიდად უდებდა თავის საყვარელ ერს და ქვეყანას.

ბნელეთის ძალებმა, ჯოჯოხეთის მოციქულებმა, შურით და მტრობით გაშმაგებულებმა ვერაგულათ, ქურდ-ავაზაკურად წაგვართვეს უძვირფასესი და უწმინდესი კანდელი ჩვენის უბადრუკის ცხოვრებისა და საუკუნოდ-სამუდამოდ ჩააქრეს იგი!

შეურაცხეს და შელახეს მთელი საქართველოის თავმოწონება და სიამაყე, გაანადგურეს ჩვენი ეროვნული დიდება და შუქ-მფრქვევი იმედი, ურომლისოდ დიახაც ფუჭნი და არა-რანი ვართ!

ვისმა უწმინდურმა ხელებმა გამოგვჭრა ყელი, ვისმა შხამიანმა და ღვარძლ-გესლიანმა სულმა სასიკვდილიდ დასუნთქა ჩვენი ისედაც გაბზარული გული და ჩაგვაგდო უთქმელ-უსწორო გოდებასა და სინანულში!?!

ჯერ სამყაროს არ წარმოუშობია ისეთი ქვემძრომი, რომელსაც შესძლებოდა თავის მშობელის შთანთქვა-შეჭმევა, ხოლო თუ მკვლელნი ჩვენის ერისანი არიან, მაშინ ვაი სირცხვილი ერს და ქვეყანას გადაგვარების გზაზე თავდადმა დაქანებულს.

სრული სიმართლე, პირუთვნელი და ჭეშმარიტი გამოკვლევა და გამოაშკარავება ამ არა-ადამიანურს ბოროტებისა თუ დაამშვიდებს ცოტაოი მაინც იმ მოზღვავებულ შფოთს და ერისხანებას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც გულს მოწოლილი, ყელთ მობჯენილი აქვს დღეს საქართველოს ყველა მკვიდრთ განურჩევლად წლოვანებისა, სქესისა და წოდებისა, განურჩევლად მიმართულებისა და პარტიულის დაქუცმაცებისა!

სიმართლის გამომჟღავნება, რაც უნდა მწვავე და თავ-ზარ დამცემი იყოს იგი, თავს უნდა იდვან ჩვენში მომქმედ პარტიებმა!

ვინ იყო ილია ჭავჭავაძე?

ეგ უწყის ყველამ საქართველოში, კავკასიონში და კავკასიონის გარედაც.

დიდებული, სხივოსანი ნიჭი, უებრო მგოსანი, უმაღლესი ჭკუა, გაწვრთვნილი გონება, ენციკლოპედიური განვითარება, შეუდარებელი მეტყველი, უცხო მოამბე, მტკიცე მოღვაწე, იშვიათი მოჭირნახულე და მოამაგე მრავალ-ტანჯულის ქართველ ერისა უსწორ-ლბადლო უშიშარი დარაჯი და მცველი საქართველოსი—აი ვინ იყო ილია!

ილია ჭავჭავაძე ცხოველი ძეგლი იყო ჩვენის ერისა და ამ ძეგლზე აღბეჭდილი იყო ჩვენი კულტურა—ჩვენი უფლება ხალხთა შორის.

ილია ჭავჭაძე დაიბადა 1837 წელს. სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1857 წელსა და ბარბარასულის ვერაგობით მოკლულ იქმნა 1907 წელს, 30 აგვისტოს, ნაშუადღევს, თავის სოფელ საგურამოს გზაზე. მასთან მძიმედ დაჭრილა მისი მეუღლე ოლღა გურამიშვილის ასული.

ორმოცდაათი წელიწადი ეწეოდა ილია ჭაპანს, ორმოცდა ითი წელიწადი მეთაურობდა და წინამძღოლობდა „არ რის მქონე, არ რის მცოდნე“ ერს.

სამი თაობა აღიზარდა მის ღვთაებრივ კეთილშობილ გულ-მკედრზე და მამობრივ მკლავებზე.

ის, რასაც მოვესწარით და ცხადად ვხედავთ, ჩვენ—განთავისუფლებას, ილია ჭავჭავაძე შეუდრეკელის სიმხნევით ამზადებდა მრავალ წელთა განმავლობაში.

სამოციან წლებში ილია სწერდა:

„ესმის, მესმის სანატრელი
ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა!
სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუხს
დასათრგუნვლად მონებისა!
აღმიტაცებს ხოლმე ეს ხმა
და აღმიგზნებს იმედს გულში...
ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი
გამაგონე ჩემს მამულში!

ოღონდაც შენს მამულში დღეს ტკბილი ხმა ისმის მონობიდან განთავისუფლებისა და ცხოვრების განახლებისა, მაგრამ იმავე შენს მამულში ამ ჟამად გაისმის მწარე გოდება და ქვითინი შენს წმიდა და უბიწო ცხედარს წინაშე!

სამართალია?!

განა არა,—შენ მუდამ გაიძახოდი:

«პატიოსან მტერთა შორის
მოციქული ნამუსია»!

მაგრამ შენი მტრები უნამუსო, შუბლ გარეცხილი და გათახსირებულნი იყვნენ და არ დაგინდეს არც შენ და არც ჩვენ, შენგან აღზრდილნი და ფეხზე წამოყენებულნი უმადურნი და ულირსნი შვილნი შენნი. მართალია, შენ მუდამ შებრალებას ჰქადაგებდი, შენდობასა და პატიებაზე ყვიროდი:

„გებრალებოდეს, ნუ ჰრისხავ
კაცს, შენზედ შურით მნდომსაო!—
კეთილი ფარად უფარე
შენთვის ბოროტის მდომსაო,
მადლისა წყაროს ასმევდე
ცოდვის გუბეში მდგომსაო!..

მაგრამ ვერ გასჭრა იმათზე შენმა მაღალმა სათნოებამ. მახინჯნი სულით და დუხჭირნი გრძნობით—იმათ შენ წმინდა სისხლის გუბეში დაიბანეს ხელები!

შენ თითქოს გვიწინასწარმეტყველე ამ ორმოცი წლის წინედ, თუ რა ჯურისა და მანკის ხალხი წამოყოფდა თავს:

ეხლა რა ვართ? საწყელ ფურად
თავი ჩვენი გადვიქციეთ,
ის სახელი, ის დიდება,
ის ოჯახი დავაქციეთ...
— რაც ეყოფილვართ, ის აღარ ვართ
რაც ვართ, ის ნუღარ ვიქნებით...
ღმერთი გვიხსნის, თუ შვილთ მაინც
გზად და ხიდად გავედებით.
— ტყუილია სულთქმა, უში,
კაცი უნდა კაცად იყვეს
სანთლსავით თვით დაიწვას
და სხვას კი გზას უნათვიდეს.

ეხლა ვინლა გაგვინათებს ბნელ გზას, ვინლა გაუწევს ანგარიშს ყვავ-ყორნებს, რომელნიც მოუსვენრად დაგვჩხავიან და სიხარულით თავს დაგვტრიალებენ!

ნეტა ვიცოდე რა პასუხს გაცემენ შენი მტრები ისტორიას, იმ ისტორიას რომლის შესყიდვა ვერ შეიძლება ვერავითარის თვალთ-მაქცობით მაღალ-ფარდების სიტყვებით და ვერავითარის მოძღვრებით.

შენ სრულის უფლებით შეგიძლიან უთხრა იმ საზიზღრებს და ბნელეთის მონებს:

კაცად მაშინ ხარ საქები,
თუ ეს წესი წესად დარგე;
ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო,—
აბა, მე დღეს ვის რა ვარგე?

ნეტა ვის არგებს შენი სიკვდილი, ვის გაახარებს, ვის მოუკლავს ჟინს და წყურვილს, ვის გაამარჯვებს, ვის დაამარცხებს?

რა საზარლად შემცდარი არიან ის უკულმართნი და სულმდაბალნი, თუ მართლა ფიქრობენ რომ შენის მოკვლით სიკვდილი მოგაყენეს შენ!

განა შესაძლებელია აზრის მოკვლა, იდეალების გაქრობა, მისწრაფებათა დახვრეტა? ვაჰ, რა დიდი, გაუსწორებელი შეცდომაა!

ხალხის გულის და სულის მოსაიდუმლენი, ღვთისაგან ნიჭით ცხებულნი და რჩეულნი არა კვდებიან, პირიქით, რაც დრო და ჟამი გადის უფრო მაღლდებიან და აფართოებენ სივრცეს თავის მადლიანი ზედგავლენისათვის!

შენ ცოცხალ იქნები მარადის მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, მაგრამ ვაი ჩვენ და ჩვენს სიბეჩავეს! ვაი ჩვენს უმწეობას და ობლობას!

განისვენე ტკბილად და აღუშფოთველად ქართველთა გულში ჩვენო დიადო, წმინდაო და სათაყვანებელთ ილია!

და შეუნდევი ქართველ ერს თავისი ცოდო და დანაშაული შენს წინაშე!

Sit tibi terra levis!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე სათათბიროს დეპუტატი.



ფარშა-ფუშურშა გაცვდაო და შავი ჟამი დარჩაო!

ნება დაურთველად არ შეიძლება.

— ეჰე, ჩემო ძმაო, ძაღლის ცხოვრებაც კი მენატრება! ისე დავიტანჯე... ისე, რომ... ლამის თავი მოვიკლა!

— მერე და ნებართვა აღებული გაქვს?

— თავის მოკვლას რაღა ნება-რთვა უნდა?

— ეხლანდელ დროში, ჩემო ძმაივ, ყველაფერზე ნება-რთვა უნდა გქონდეს აღებული, თორემ, შენი მტერი, „პოდსუდში" მიგცემენ ან გადაგასახლებენ!

მოკლე შაირები

დუმა, ჩუმა, ჩუმა, ჩააჩუმა!
ენა, კბენა, წყენა, ზენა, სისხლის დენა!
კმარის, ჯარის, მჩვარის, ჯვარის!
ლაპარაკი, კაჰაკი, ზვარაკი, ფათარაკი!

თ. პ.

,,Голосъ Кавказа."
რამ გაგაბრაზა?

ყველაზე უკეთესია
ჩვენში „ტფილისის ლისტოკი"
მის რაინდობას აკლია
პოლიციელის „სვისტოკი".

შე საბრალო, რუსის „დუმა,"
ეგრე რაღამ დაგადუმა?!

გაზეთების დამტარებელთა შორის.

ხშირად გაიგებთ ტფილისის ქუჩებზე გაზეთების დამტარებელთა მაჟღარ ძახილს:

„შილი-გრამა! ტილი-გრამა!"
,,Голосъ Кавказа''—доносъ кавказа!
"ხათაბალა," დარდუბალა!. ზახრუმელა!..
„ნიშადური", —ამოუხვი!
მოდი და ნუ იყიდი!

კორექტურული შეცდომები.

სათავად-აზნაურო მანკი.
საოფლო-სამეურნეო ბანკი.
ვაცთა საფეხაზურო გიმნაზია.
ყაზიბეგის ქართა სროლა.
წერაქვის წინდის მაღაზია.
დარომტრიალი საწოლგადოება.
წიხლის მაღაზია „კოდვა".
გაზ. „Тифлисскій свистокъ".
ტკბილის ექიმი ჰრიჰინაძე.
ქუთ. ბანკის დამტაცებელი კომისია.
ცნობილი პედაგოგი იაკობ მოგებაშვილი.
გმობილი ექიმი ივანე გამართული.
ფოთის ავი ნიკოლაძე.
ცენზორი ანჯღრია გუდაძე.
გამომცხებელი ველური ან მუნია.

„მემარჯვენეთა" ბელადი გრაფ ბობრინსკი „მემარცხენებზე" ამხედრებული..

ათასად კაცი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობა,
თუ კაცი თვითონ არ არი, ცუდია გვარიშვილობა!

ტარტაროზის ავადმყოფობა

(ბიუროკრატის ცხოვრებიდან. *)

სასაცილო-სატირალი სცენა ერთ მოქმედებად

ტარტაროზი.	ძმის ჯამია.
სულთამხუთავი.	ჯაშუში.
ჯალათი.	უთვალო.
სისხლის მწოველი.	ხულიგანი.
უპირო, ექიმად მოწვეული.	ისტორია.

მოქმედება სწარმოებს ჯოჯოხეთის დარბაზში. დოგინზე წამოწოლილია ავადმყოფი ტარტაროზი. თავი შეხვეული აქვს; დრო გამოშვებით ახველებს წყნარად; ეშინია, რომ ავად არის, არც სჯერა მთლად თავისი ავადმყოფობა, დარბაზში მინგრეულ — მინგრეულია ეგვალოვერი.

გამოსვლა პირველი.

ისტორია. (სცენის გარედ, უხალვიან) „და იყო იგი დრო ბნელი და ბოროტი, იყო წამება უსაზღვრო, შიმშილი და უბედურება კაცთა შორის. სწუხდა ქვეყანა, სისხლითა და ცრემლითა მოირწყა დედამიწა და აღარავის უნდოდა სიცოცხლე. და დადგა დღე . . . . . და აღსდგა ადამიანთა ტომი, აიღო ხელში მახვილი თვისი და მოახლოვდა მაშინ ჟამი...“

ტარტაროზი. (წამოდგება). რაო? ა?.. რაო?... თითქოს ვიღაც ლაპარაკობს... რა ჟამი?.. ვინ არის? ვინ ჰბედავს ხმის ამოღებას ჩემს სასახლეში?.. როგელი სულიერია? სიცოცხლე მოჰბეზრებია? აქ მე ტარტაროზი ვარ, ბრძანებელი მთელი ჯოჯოხეთისა! გავსრესავ, გავანადგურებ ყველაფერს არც ერთი ცოცხალი არსება აღარ დარჩება დედამიწაზე! ყველა ადამიანებს გაკეფლეტავ, შევწვავ, გავძღები მათის ხორცით!.. მე ტარტაროზი ვარ, ყველანი ჩემი მონები არიან და ვაი მას, ვინც გაბედავს წინააღმდეგობას, ვაი მას! ვაი მას! (უცებ იგრძნობს სასუსტეს და სასინდისად შეკრთება) ჰა!.. ავად ვარ?.. რაო, ავად ვარ? (ისევ წამოწვება) ვინა სთქვა, რომ ავად ვარ!.. რად უნდა ვიყო მე ავად? მე ხომ ტარტაროზი ვარ?.. ჰა? რაო?.. დავუძლურდი, დავსუსტდი და ჩემი აღარავის ეშინია?.. ძალა აღარ შემწევს და ადამიანები აღარ მემორჩილებიან? როგორ, ჩემი სახე არ არის მათთვის საშინელი, არ დაეცემიან მუხლმოდრეკილნი ჩემს ფეხთ წინაშე?.. მე ავად არა ვარ!.. სულ ტყვილია, ტყვილი! მოვსპობ ყველას! (წარმოდგება, მოინდომებს კვლავ, მაგრამ კიდევ წაიქცევა და ისევ წამოწვება). აჰ! აჰ!.. ნუ თუ მართლა ავად ვარ! ვინა თქვა ეს? ცოცხლად მოვხარშავ მას!.. ვინ გამიბედა ავათმყოფობა! მე ხომ ტარტაროზი ვარ, მე... (ამ დროს იგრძნობს სასინელს ტკივილებს და გიყოვით დაიყვირებს) ჯოხეთო, სამეფო ჩემო!.. ავად ვარ!.. ავად!.. ჰა! ეს რა ამბავია?.. ნუ თუ მე წამოვსთქვი ეს სიტყვა?.. ავად ვარ, ავად, ავად!.. (სიჩუმის შემდეგ) დავსუსტდი... დავუძლურდი... აღარ არის ტარტაროზი... აღარ არის ჯოჯოხეთი... ქვეყანა თრთოდა ჩემს წინაშე, ჩემი რისხვა ქარცეცხლი იყო, ახლა კი ვიღაც ბავშვი ადამიანი მოურიდებლად ეცინოდა სახეში და სიტყვასაც კი შემომიბრუნებს: ჯოჯოხეთო, სამეფო ჩემო! სადღა არის შენი ტარტაროზი, რომელსაც იმდენი უსაზღვრო ტანჯვა, მწუხარება და უბედურება მიუყენებია ადამიანებისათვის?.. სადღაა განადგურებული, გატიტვლებული ყანები, გადამწვარი ქალაქები და სოფლები?.. სადღაა ქვრივობოლთა ცრემლები და ღატაკთა კვნესა, **ტუსაღთა** ოხვრა და გოდება, სადღაა სიკვდილი, სიკვდილი?.. სამეფო ჩემო, ჯოჯოხეთო, ველარ იხილავ კვლავ ასეთს ძვირფასს სანახაველს!.. **თავისუფლება და სამართალი აყვავდება იქ, სადაც მე ძალმომრეობას და მონობას ვთესავდი მზოლოდ...** წარხდა ყოველი! (დრმად ჩაფიქრდება. მერე უცებ დაიყვირებს). არა!.. არა!.. შეუძლებელია! მე ტარტაროზი ვარ, ტარტაროზი ვიქნები და ჯოჯოხეთიც დარჩება!.. მსახურნო ჩემნო, ჰეი! აქ მოდით! ექიმო!.. ექიმო!..

ექიმი. (შეშფოთებ). მონა ვარ თქვენი, ბრძანებელო! როგორ მოისვენეთ და ხომ უკეთ გრძნობთ თავს?

ტარტაროზი. (მწყრალად). არა, სრულებითაც არა! სუსტად ვარ ძლიერ და როგორც ვატყობ, შენი ექიმობა უსარგებლოა ჩემთვის. **გენდევი, დაგაჯილდოვე;** მეგონა, ოსტატი იყავი ექიმობის. **უფლებით შეგმოსე, მაგრამ ამაოა** შენი მეცადინეობა: შენმა წურბლებმა კიდევ უფრო დამაუძლურეს. არა, ეგ წამლობა არ ვარგა, სისხლი მომაკლდა. დაუძახე სულთამხუთავს, ჯალათსა და სისხლის მწოველს. უნდა ვითათბიროთ, სხვა საშუალებაა საჭირო. (ექიმი გადის და შემოჰყავს სულთამხუთავი, ჯალათი და სისხლის მწოველი).

სულთამხუთავი, ჯალათი და სისხლის მწოველი. (მოწიწებით დაუკრავენ თავს ტარტაროზს). მონანი ვართ თქვენი, ბრძანებელო!

ტარტაროზი. ჩემო ერთგულნო მსახურნო! ხომ ხედავთ, როგორ დაუძლურდა თქვენი ბატონი. მე ტარტაროზი ბრძანებელი ჯოჯოხეთისა, ის აღარა ვარ, რაც ვიყავი. მთელი ქვეყანა შებორკილი მყავდა. ადამიანთა ტომი ჩემ სახეზე ლოკულობდა... დღეს აღარ არის ეს. დავსუსტდი, საშინელ ტკივილებსა ვგრძნობ და კიდევ უარეს უნდა მოველოდეთ. ჩვენი ექიმის წამლობა უსარგებლო გამოდგა, საჭიროა სხვა საშუალება...

სულთამხუთავი. საჭიროა ადამიანთა სულის შეხუთვა, ბრძანებელო ჩვენო!

ჯალათი. საჭიროა ადამიანთა წამება, ბრძანებელო ჩვენო!

სისხლის მწოველი. საჭიროა ადამიანთა სისხლი, ბრძანებელო ჩვენო!

ტარტაროზი. მე მრწამს თქვენი ერთგულება და სათათბიროდ მოგიწვიეთ. სამეფო ჩემი ჯოჯოხეთი ირყევა. მე ტარტაროზი ვკარგავ ძალას, ადამიანის სული შემოეპარა ჯოჯოხეთს, თავისუფლების სიომ დაჰბერა. სამართალიო, გაისმის ხმა და გუშინ წინ ვიღაც ქუჩის ბიჭის სიმღერაც მოვკარი ყური, მე დამცინოდა. ავად ვარ, კარგად ვხედავ ამას და როგორმე მალე უნდა გამოვნახოთ წამალი.

*) ამ სცენების პირველი ნაწილი იხ. „ცნობ. ფურც.“ 1905 წ. 9 იანვ, №.

სულთამხუთავი. ბრძანებელო, თქვენი ავადმყოფობის მიზეზი თქვენ თვითონვე ხართ. ულალატეთ წინაპართ ანდერძს, თვითონვე შემოუშვით ჯოჯოხეთში თავისუფლების აჩრდილი. მიმართეთ ექიმს მაშინ, როდესაც საჭირო იყო სხვა, ძველებური საშუალება. სუსტი ვარო, უთხარით ადამიანებს და იმათაც თავი წამოჭყვეს. თვითონ შეასხით ფრთა ადამიანთა ოცნებას. ეს ღუპავს ჯოჯოხეთს. უნდა დაუბრუნდეთ წინაპრების ანდერძს: სასტიკად უნდა სდევნიდეთ ადამიანებს, შეუბრალებელი უნდა იყოთ, მოსპეთ ყოველნაირი თავისუფლება, სიტყვა, აზრი, ფიქრი, სინდისი, გააშრეთ ადამიანის ტვინი, წაართვით ენა, გაუქვავეთ გული და როდესაც ადამიანს აღარ ექნება არც გონება და არც გრძნობა, მაშინ ველარ შესძლებს წინააღმდეგობას. მაშინ განიკურნებით და შეიქნებით ძლიერი—მაშინ აღარაფერი არ ავნებს ჯოჯოხეთს.

ჯალათი. ძველიდანვე ნაცადია, ბრძანებელო, რომ წამება საუკეთესო საშუალებაა ადამიანის დასამორჩილებლად. რაც უნდა მაგარი იყოს ადამიანი, წამება მოსტეხს და მოარჯულებს. ამიტომ რაც შეიძლება, უნდა გავამრავლოთ სატუსაღოები და სახჩობელები, ველგან უნდა მოვაწყოთ საწამებელი ადგილები, ფეხებით უნდა ჩამოვკიდოთ ადამიანები, ენები დავსჭრათ, ჩანგლებით დავჩხვლიტოთ, ცეცხლით დავწვათ, ცოცხლათ დავმარხოთ, საჭმელი მოვუსპოთ და მაშინ დაჩუმდებიან მეამბოხენი და მშვიდობა დამყარდება ჯოჯოხეთში.

სისხლის მწოველი. სისხლი, სისხლი, სისხლი, ბრძანებელო! სისხლით უნდა გაიწმინდოს ყველაფერი. სისხლით უნდა მოირწყას დედამიწა. ყოველ სახლში უნდა ჩააყენოთ სისხლის მწოველები და მისცეთ მათ ბრძანება ჰხოცონ და ჟლეტონ შეუბრალებლად ადამიანები. ადამიანთა სისხლში უნდა ვცურავდეთ და მაშინ გაძლიერდება ჯოჯოხეთი. ადამიანის სისხლი უნდა ვსვათ და მაშინ გავმაგრდებით ჯოჯოხეთის შვილები. სისხლით უნდა შევღებოთ მთა-ბარი, და მაშინ იქნება ჯოჯოხეთი ჭეშმარიტად **თქვენი შესაფერი სამეფო.**

ტარტაროზი. სულთა მხუთავო, ჯალათო და სისხლის მწოველო, მოსაწონია თქვენი რჩევა და დაუყონებლივ შეუდექით მის შესრულებას. ტარტაროზს არ შეჰფერის **სხვანაირი მეფობა** და არაფერი არ მომიტანს შვებას, სანამ კაცთა ტომი გასრესილი, წამებული, დამუნჯებული, შებორკილი კვლავ არ დაეცემა ჩემს წინაშე და არ დაუწყებს ლოკვას ჩემს ფეხებს. შესრულდეს ბრძანება ჩემი, მე ტარტაროზი ვარ!

სულთამხუთავი, ჯალათი და სისხლის მწოველი. დიდება შენს გონებას, ჯოჯოხეთის ბატონო! მალე ვიხილავთ კვლავ თქვენს ჯანმთელობას და მეფობა თქვენი იქნება კიდევ უფრო ძლიერი. კაცთა ტომშიაც ბევრია თქვენი ერთგული მონა, უბრძანეთ და ისინიც დაუყონებლივ ასტეხენ შფოთს, ხოცვას და ჟლეტას და წაუკიდებენ ცეცხლს ადამიანებს. აქვე გაჩნდებიან ახლავე, თუ ინებეთ მათ ხილვას.

ტარტაროზი. ყოველი ბოროტი და ღალატი ახარებს ჩემს გულს. ვინ არიან? მომგვარეთ! (სისხლის მწოველს შემოჰყვავს ძმის ჭამია, ჯაშუში, ხულიგანი და უთვალო).

ძმის ჭამია, ჯაშუში, ხულიგანი და უთვალო. შენი ფერხთა მტვერი ვართ, დიდო ტარტაროზო! უსამართლობას შენსას არა აქვს საზღვარი და ბოროტება შენი დაუსრულებელია. ვემთხვევით შენს ხელს, რომელმაც მძიმე უღელი დაადგა კაცობრიობას ადამიანებს, და აწამა თავისუფლების მაძიებელნი. ჩვენ ადამიანები ვართ, მაგრამ მტრები ადამიანთა ტომისა და ძმის მჭამლები. გვინდა ვემსახუროთ თქვენ სახელს და გაუმწაროთ ადამიანებს სიცოცხლე.

ტარტაროზი. ბოროტისათვის ბოროტით გადაგიხდით. არ დავივიწყებ თქვენ სამსახურს და არა ერთი და ორი ჯილდო შეამკობს თქვენს გულსა და ჯიბეს. წადით და ისმინეთ ჩემი მსახურთა ბრძანება! ადამიანნო, სდევნიდეთ ადამიანებს! (ძმის ჭამია, ჯაშუში, ხულიგანი და უთვალო გადიან).

სულთამხუთავი. ბრძანებელო ჩვენო, შეუდგეთ საქმეს?

ტარტაროზი. დაუყონებლივ, დაუყონებლივ!.. დავკარგე ყოველივე შიში და ჩემს მკლავებში კვლავ ვგრძნობ ძალას. მე ტარტაროზი ვარ და ბოროტება ჩემი უძლეველია. მე ისევ ის ვიქნები... ისევ ის!.. (უცებ შეკრთება, საშინელს თავის ტკივილს იგრძნობს) ჰა! ეს რა არის?.. კვლავ ტკივილები? (კანკალს დაიწყებინებს, მისცვივდებიან სამეფოთ სულთამხუთავი, ჯალათი და სისხლის მწოველი; ექიმი ვერ ჭედავს მისვლას). თავი მისკდება!.. მეწვის... უძლური ვარ?.. უძლური?.. მსახურნო ჩემნო, აქ ლოგინზე დავისვენებ (დაიწყვენენ. ტოტა სიჩუმის შემდეგ) სუსტად ვარ... არა უშავს... გაივლის... თქვენ შეუდექით თქვენ საქმეს... დაუყონებლივ... მე მინდა, კვლავ ძლიერი ვიყო, კარგად ვიყო... მე ტარტაროზი ვარ!.. წადით, წადით... საქმე... (ფეხზე ადგა, ტარტაროზი მარტო დარჩება და მიეძინება).

გამოსვლა მეორე.

(ტარტაროზს ეძინავს. შემოდის სულთამხუთავი, სასეზე ადგენენ და მოუმზადებენ ეტეობა).

სულთამხუთავი. გული მიძგერს, ვკანკალებ მეტის სიხარულისაგან. რა რიგ დავსტკბები, რა რიგ დავსტკბები! ამისთანა სანახავი ჯერ არ უნახავს ჩემს თვალებს... გამაგდეს, აღარ ინდომეს ჩემი ბატონობა, კიდეც დამცინეს; ახლა ვნახოთ, ვინ უფრო ძლიერია, ვინს ვის დასცინებს! საშინელ შურს ვიძიებ და მოგანატრებთ ძველს დროს. ციხეებში დაგალპობ სუყველას, ჯურღმულებში ჩაგაგდებთ, გამხმარ პურსაც არ გაღირსებთ. წყურვილით მოგკლავთ, დღეს დაგიბნელებთ!.. ჩემი სულთამხუთავობა არ მოგწონდათ, მაგრამ უარესს მოგასწრებთ: სულს შეგიხუთავთ კი არა, მთლათ ამოგაძრობთ სულს, უსულო გვამად გაქცევთ, გაგაკავებთ, გაგაშრობთ! ჰო, ნეტარებავ! რა საუცხოვო სანახავი იქნება; უსულო და უგულო ადამიანები! მათი სახე გაშეშებულია, ენა არას ამბობს, თვალები უძრავად გამოიცქირებიან! ჰა, ჰა, ჰა!

ადამიანო, ადამიანო! რას იტყვი მაშინ? არ იკადრებ სულთამხუთავს? თავისუფლების მაძებარო ადამიანო... სად იქნება მაშინ შენი თავისუფლება? თავისუფალი სიტყვა, ლაპარაკი, კრება, სინდისი, ხელშეუხებლობა პიროვნებისა?.. ჰა, ჰა, ჰა! ჩამოგართვით უკვე ყველაფერი, დაგატუსაღეთ, შეგბორკეთ! არ მოგწონს? ეგ კიდევ ცოტაა. მთლად, მთლად მოვსპობთ თავისუფლებას! მაშინ არაფრის ნატვრა აღარ დაგვჭირდება. ნატვრის ხალისსაც მოგიკლავთ, მოგიკლავთ ყოველგვარ გრძნობას და ფიქრს!.. სამართალს ეძებდი, ადამიანო, თანასწორობა გინდოდა. გაკადნიერდი და ოცნება დაიწყე: ძირს ტარტაროზი და ჯოჯოხეთი! არ მოგწონდა ჯოჯოხეთი, მაგრამ არ იცნობდი ნამდვილ ჯოჯოხეთს. ახლა დაინახავ ჯოჯოხეთს, ახლა იგრძნობ მის ძალას, გაძღები ჯოჯოხეთის ცეცხლით და სისხლით!.. ადამიანო, ადამიანო, სად არის შენი წამებული, გასისხლიანებული, გამშრალი სახე? მე მწყურია ასეთი სახე! ჩქარა, ჩქარა, ამხანაგებო!... (გადის).

ჯალათი. (შემოდის). მე ვარ ბურჯი ჯოჯოხეთისა! ყოველი დიდებული საქმე ჯოჯოხეთისა ჩემის ხელით არის გაკეთებული. სიტყვა ჯოჯოხეთი, და ჯალათი თითქმის ერთი და იგივეა, სადაც ახსენებენ ჯოჯოხეთს, მეც იქა ვარ. წამება, ტანჯვა, კვნესა—ეს ყველაფერი მე ვარ, მე ვარ უმთსვრესი ძალა ჯოჯოხეთისა და ვამაყობ ჩემის ხელობით! ვინ ჩამოსთვლის, რამდენი დაუფასებელი სამსახური გამიწევია ტარტაროზისათვის და რამდენი ბედნიერი დღე მინახავს ჩემს სიცოცხლეში! რამდენი ადამიანისათვის წამიგდებინებია თავი, რამდენი მიწამებია, რამდენი დამიჩხვლეტია ნემსებით, რამდენი ცოცხალი ადამიანი დამიმარხავს, ლუკმა-ლუკმა დამიკეპავს, რამდენი უმანკო ქალი გამიუპატიურებია, რამდენი იმედი მომიკლავს, რამდენი სიყვარული გამიშვრია!.. ვინ ჩამოსთვლის ჩემს მსხვერპლებს: უთვალავია მათი რიცხვი! მინახავს დედის მოთქმა! საყვარელის ცრემლები, ამხანაგის ტირილი, შვილი მომიგლეჯია დედის ძუძუსაგან და მათ ყვირილს და მწუხარებას ნეტარებით აუვსია ჩემი გული!!. ჰო, რა ბედნიერებაა, რა ბედნიერება ადამიანის ტანჯვა, დაუსრულებელი ჯოჯოხეთური ტანჯვა!.. მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მოვარჯულეთ ეს წყეული ტომი და ისევ წყევა და კრულვით იხსენიებს ჩემს სახელს... როდემდის? როდემდის გაუძლებ, ადამიანო, ჯოჯოხეთის ძალას? დღეს მოახლოვდა შენი აღსასრული და ისე დაგტანჯავთ და გაწამებთ, როგორც არ ტანჯულხარ არასოდეს! ქვეყანა შეიძრევა შენი კვნესისაგან. ინანებ ოცნებისათვის, ინანებ საშინლად ამბოხებისათვის! არ გინდოდა მონობა და გაურბოდი ჯალათის მკლავს. თავისუფლება და ერთობაო, იძახოდი, და ჩვენც გაგცემთ შესაფერს პასუხს, ადამიანო! (გადის).

სისხლის მწოველი. (შემორბის). სისხლი მწყურია, ამხანაგებო, ადამიანის სისხლი! ჩქარა აუშვით ბოროტი ალები და ხოცვა ჟლეტის ალი მოედვას მთელს დედამიწას. დეე, იხილონ ადამიანებმა, თუ ვინცა ვართ ჩვენ! დეე, იგრძნონ ჩვენი სისხლის მწოველობა!.. ამხანაგებო, ჩქარა! გამაძღეთ ადამიანის სისხლით! არ შევიბრალოთ არც ქალი, არც ბავშვი, არც მოხუცი! სისხლის მწოვერეები გამოუშვათ ქუჩებში და დავახრჩოთ მთელი ადამიანის ურჩობა და გამბედაობა. შური ვიძიოთ და წავხოცოთ ყოველივე კვალი ადამიანის მოქმედებისა, სამუდამოთ მოუკლათ მას სურვილი წინააღმდეგობისა! სისხლი, სისხლი, ამხანაგებო! (გარბის. მისი გასვლის შემდეგ ცოტა სიჩუმეა, მერე გარეთ სმაურობა ასტყდება, რომელიც თანდათან ძლიერდება).

სულთამხუთავი. ჯალათი და სისხლის მწოველი (შემორბიან), ახლავ დაიწყება და ჩვენს თვალებს წარმოუდგება უუმშვენიერესი სანახავი ადამიანის ტანჯვისა და წამებისა!.. იწყება! (მივლენ ფანჯარასთან).

სულთამხუთავი. გავარდა!.. ხოცვენ!.. გადაჰყარეს!.. აჩხობენ.

ჯალათი. მაგრე, მაგრე შეუბრალებლად!.. შეხეთ ადამიანებს, როგორ იქლიტებიან... კიდევ, კიდევ!

სისხლის მწოველი. ოჰ, რა მშვენიერებაა! ნაკადულივით გადმოდის იდამიანთა სისხლი!.. გაწყდეს ეს ურჯულო ტომი და აღარ დარჩეს მის სახსენებელი... დაჰკარით! არ დაზოგოთ!.. სისხლი. რაც შეიძლება მეტი სისხლი!..

სულთა მხუთავი. ცეცხლი მოედვა სახლებს!. განათდდა ყველაფერი! რა დიდებული ჯოჯოხეთური სურათია! (ფანჯრებში შემოანათებს ცეცხლი).

ტარტაროზი. (გაიღვიძებს და წამოდგება) სულთა მხუთავო?.. რა ამბავია?

სულთამხუთავი. ბრძანებელო ჩვენო, იხილეთ ძლიერება თქვენისა ჯოჯოხეთისა: ადამიანის ტანჯვა და წამება აღემატება ყოველივე საზღვარს!

ტარტაროზი. ჩემო ერთგულნო მსახურნო! ნეტარებით აღავსეთ ჩემი სული და გული! (სულთამხუთავის დახმარებით მივა ფანჯარასთან) ჰა, ჰა, ჰა,. ამას რას ხედავს ჩემი თვალები! ეს მეტის მეტია, სულთამხუთავო, ჯალათო და სისხლის მწოველო!. აგრე, აგრე! ერთგულნო მსახურნო აწამეთ, დაჰკალით, შესწვით ადამიანები!... ჰა, ჰა, ჰა! თავისუფლებავ, თანასწორობავ, ერთობავ, სადა ხარ? ადამიანო, რად სდუმხარ?... არა სდუმხარ?.. ჰა, ჰა, ჰა! იტირე, იკვნესე, იღრიალე!. შენს ტანჯვას არ აქვს დასასრული!.. მე მოვრჩი, ავად აღარ ვარ! მე ტარტაროზი ვარ, ძლიერი ტარტაროზი!

სულთამხუთავი, ჯალათი და სისხლის მწოველი (აღტაცებით). შეხედეთ, შეხედეთ, ბრძანებელო! ხიშტზე ააგეს ადამიანის შვილი! საუცხოვო! ეგერ ქალს წელები გამოაყრევინეს! ყოჩაღ. აგერ ტვინი გადმოუნთხიეს, დედას შვილი გადააკლეს თავზე! თვალები ამოთხარეს!.. ფეხებით ჩამოკიდეს და ჩანგლებით ჩხვლეტენ!.. სამასი ადამიანი ერთად შეჰყარეს და ცეცხლი წაუკიდეს... ა, კიდევ, კიდევ!. ქუჩები მოიფინა ადამიანთა გვამებით... სისხლში სცურავენ!...

ტარტაროზი. განვიკურნე .. მოვრჩი... კარგად ამოვისუნთქო, დავსტკბე სავსებით! (ცოტა ხნის შემდეგ თავი ისევ ასტკივდება) კიდევ ის, ის ტკივილი! ჰო, ადამიანნო, მე მოვრჩები, ვერ დამძ-

ლევთ!... მე ტარტაროზი ვარ!.. ერთგულნო ჩემნო, მიმიყვანეთ ლოგინზე, ცოტას დავისვენებ. ავდელდი მეტის სიხარულისაგან... გაივლის! (მიჭეყვთ წამოწვებს და მალე დაქანებს.— სულთამხუთავი, ჯალათი და სისხლის მწოველი ისევ ფანჯარასთან მიდგენ. დიდხანს გაისმის ყვირილი, კვნესა, ოხვრა, მუქარა).

ვამოსვლა მესამე.

ტარტაროზი. (ძალში რამდენჯერმე ამოიოხრებს, მერე უცებ გაიღვიძებს და გიგიავით წამოგაჯდებს), მიშველეთ!.. მიშველეთ!.. მიშველეთ! (გარბის, მაგრამ შეაკავებენ სულთამხუთავი, ჯალათი და სისხლის მწოველი). საშინელებაა! საშინელება!.. (გონს ვერ მოსულა).

სულთამხუთავი, ჯალათი და სისხლის მწოველი. დაწყნარდით, ბრძანებელო, ჩვენ აქა ვართ.

ტარტაროზი. (აკვირდება მათ, დიდხანს ვერა სტნობს). თქვენ?. ჩემი მსახურნი ხართ?.. ადამიანები? აქ არავინ არის ადამიანთა ტომის?.. იქ, იქ, რა ამბავია? (მიაწყვა ფანჯრისაკენ).

სულთა-მხრთავი. ბრძანებელო, იქ მხოლოდ ადამიანთა გვამებია, სისხლის ტბა და განადგურებული სახლები. გათავდა... გაწყდა ერიცხვი ადამიანი.

ტარტაროზი. სულთამხუთავო, აღარ გაწყდება ადამიანი... აღარ დაიღვრება ადამიანთა სისხლი... აღარ... აღარ... აღარ!.. ახ, რა უძლური ვარ... რა ულონო... როგორ დავსუსტდი... სამეფო ჩემო, ჯოჯოხეთო, სადა ხარ!.. (დიდ ხანს დგას გაშტერე, ბუდი, ერთ წერტილს მისჩერებია და ხმას არ იღებს).

სულთამხუთავი, ჯალათი და სისხლის მწოველი. ბრძანებელო ჩვენო, დამშვიდდით. უძლურია მტერი თქვენი ადამიანი, თქვენ კი უძლეველი ტარტაროზი ბრძანდებით. დავსაჯეთ ურჩი მტერი და ის ხმას ვერ ამოიღებს საწინააღმდეგოდ...

ტარტაროზი. (თითქოს არ ესმის მათი სიტყვები). ჩუ!.. რა ხმაურობაა?.. აქეთ მოდიან?.. საშინელებაა!.. საშინელება!.. აღარ დაიღვრება ადამიანის სისხლი... აღარ... აღარ!.. მე უძლური, ულონო ვარ!.. სამეფო ჩემი, ჯოჯოხეთი გაჭარა... გაჭარა...

სულთამხუთავი. რას ბრძანებთ, დიდებულო ტარტაროზო! სამეფო თქვენი დიდია ბ უძლეველი!..

ტარტაროზი. არა!.. არა!.. მოვლენ ადამიანები... მოსპობენ ყველაფერს... გადასრესავენ ჯოჯოხეთს... ააფრიალებენ თავისუფლების დროშას... გაამეფებენ თანასწორობას და სამართალს. სიყვარული ამოვა იქ, სადაც ჩვენ სიძულვილს ვთესავდით... აღარ იქნება ძალმომრეობა და მონობა... სულთამხუთავო, ჯალათო, სისხლის მწოველო, აღარ ვიქნებით ჩვენ... აღარ... აღარ!.. (კვლავ ჩაფიქრდება და გაშტერებული დგას).

სულთამხუთავი. ბრძანებელო, ნუ თუ დღევანდელ დღის შემდეგ სიხარულის მაგიერ...

ტარტაროზი. გესმით?.. ყველანი აღსდგნენ!.. მიწა, ძვალი, ფერფლი—ყველაფერი გაცოცხლდა, ისევ ადამიანად იქცა. წამებულნი, ტანჯულნი, ჩამოხრჩობილნი, დამხრჩვალნი, მოკლულნი—ყველანი აღსდგენ. აღსდგენ დედები და ბავშვები, მამები და შვილები. დასაბამიდან ვინც კი ტანჯულა, ყველა აღსდგა. უთვალავი იყო მათი რიცხვი! [illegible] ტანჯვა და მწუხარება ადამიანად იქცა... [illegible] მკვდრები და მათ შეუერთდენ ცოცხლები და ყველანი გამოეშურნენ ჩემსკენ. (შეჩერდება). ყვიროდენ და მათი ყვირილი მთას არღვევდა, მათ სახეს ვერაფერი უჩერდებოდა წინ... მოსპეს და გასრესეს ჩემი ჯარები... მე ვერ შევხედე მათ... „შურისძიება, ტარტაროზო, შურისძიება!..“ შესძახოდენ და ჩემსკენ იშვერდნენ ხელებს მკვდრეთით ამსდგარნი ადამიანები... ყველა დახოცეს ჩემი მსახურები; ერთი ქვაც აღარ დარჩა ჩემ სამეფოდან, ყველაფერი გაანადგურეს... მე მარტო ვიყავი, ერთი. მოდიოდნენ, მიახლოვდებოდნენ, მემუქრებოდნენ... მემუქრებოდნენ არა სიკვდილს, მემუქრებოდნენ ისეთ დაუსრულებელს წამებას, რომლის მსგავსს ჯოჯოხეთი ვერას დროს ვერ მოიგონებდა... მე უძლური, ულონო ვიდექი და ვკანკალებდი. „შებრალება არ იქნებაო!“ მომესმა კიდევ და ქვეყანა დაიძრა. „ტარტაროზო, თითეული შენგან დატანჯული ადამიანისათვის ცალკე უნდა დაიტანჯო!“ შემომძახეს დასასრულ და ყველანი მომესიენ მე. (კანკალს დაწყებინებს და ხმას ვერ იღებს)...

სულთამხუთავი, ჯალათი და სისხლის მწოველი. დიდო მბრძანებელო, ეს ხომ ყველაფერი მხოლოდ სიზმარია...

ტარტაროზი. (ცოტა ხნის შემდეგ). სიზმარია!.. არა, არა, არა! სინამდვილეა!.. სულთამხუთავო, ჯალათო, სისხლის მწოველო! ადამიანს ვერ დავიმორჩილებთ, ადამიანს ვერ მოვსპობთ და ჩვენ ყველანი პასუხს ვაგებთ... სასტიკი შურისძიება სასტიკი!.. (გაჩუმდება). ოჰ! საშინელებაა, საშინელებაა!.. უძლური ვარ... ავადმყოფი!.. აღარა ვარ ტარტაროზი!.. სადა ხარ ჩემო, ჯოჯოხეთო?.. (კიდევ გაჩუმდება). არა, არა, ერთგულნო მსახურნო. მე არ მინდა დავკარგო ძლიერება ჩემი; ჯოჯოხეთი ჩემია, მე ვერვინ დამსძლევს! ადამიანს გავსრესავ! ვაწამებ! მოვკლავ! ადამიანო, ადამიანო!.. (ისევ უამედოდ). აჰ, ტყუილია ყველაფერი, ამაოა ცდა! გათავდა... (მივა ფანჯრისაკენ). მარტო დამტოვეთ, მინდა მოვისმინო... (სულთამხუთავი, ჯალათი და სისხლის მწოველი გავლენ). გათავდა!.. იყო ჯოჯოხეთი... იყო ტარტაროზი... აღარ იქნება... აღარ არის... (წამოწვება).

გამოსვლა მეოთხე.

ისტორია. (ისევ უსიტყვოდ). „და დადგა დღე . . . . . და აღსდგა ადამიანთა ტომი, აიღო ხელში მახვილი თვისი და მოახლოვდა მაშინ ჟამი აღსასრულისა ტარტაროზისა და ყოვლისა ძისა და ჩამომავლისა მისისა...“

ტარტაროზი. (თავზარდაცემული წამოვარდება). ჰა? ვინ არის?.. (ეურს უგდებს, მაგრამ არაფერი არ ესმის). ჰა, ვინ არის?.. ვინ არის?.. (სიჩუმე. ტარტაროზი გაჟიავით იეურება.— ფარდა ნელ-ნელა დაეშვება!..

მეტეხი, 1906 წ. **ს—ა.**

პროვინცია.

ქუთაისის რამე-რუმე.

რადგანაც ქუთაისლებზედ ცუდათ იმოქმედა საალყო წესების მოხსნამ და მცხოვრებლები მეტად თავისუფლათ გრძნობდენ თავს, განცხადება შეიტანეს, ისევ საალყო წესები დარჩესო. ეს განცხადება დაუყოვნებლივ შესრულებულ იქმნება კაცთ მოყვარე მთავრობისაგან და ქუთაისი თავის მცხოვრებლებით ისევ ჩაიმწყვდევა საფლავსა შინა, ესე იგი, მშვიდობიანობაში.

ადგილობრივმა მთავრობამ ქუთაისის ბულვარი დაჰკეტა, რადგანაც დარწმუნდა, რომ მცხოვრებლებისათვის ბაღში სიარულს და წმინდა ჰაერის სუნთქვას დიდი მავნებლობა მოაქვს თურმე მართლმსაჯულობისა და პოლიტიკური მიმართულებისათვის.

როგორც ამბობენ ქალაქის სამართველოს „კასას“ ავაზაკები დაეცნენ. კასირმა აღტაცებით მიიღო ისინი, გაუღო „კასა“ და შემდეგ ბრანწით გამოისტუმრა ავაზაკნი, რადგან რაც არა იყო-რა, რას წაიღებდენ.—ბედნიერია ქუთაისი, ექსპროპრიატორები ვერას აკლებენ.

ქუთაისლებს, როგორც იქნა, შეუსრულდათ დიდიხნის გულის წადილი: ქალაქის სამართველოს უკვე შეუკვეთია სამოცი... ნავი ქუჩებში სამიმოსვლოთ... თითო ნავში დანიშნულია თითო ხმოსანი მენავეთ „პრისტინში“ მისაყვანათ.

სახელმწიფო სათათბიროს წევრს გულშემატკივრობა. ერთს ქართველს დეპუტატს მეგრელებისათვის მოუწერია „ეხლავე შეკრიბეთ ცნობა და შემატყობინეთ ვის აკლია სიმინდი და რამდენია დამშეულები, რათა მთავრობას გამოვაგზავნინო პური და ფული.“

მეგრელებმა ეს რომ გაიგეს ვისაც კი ჰქონდა სიმინდი ყველამ გაჰყიდა და ასეთი ეპისტოლე მისწერეს დეპუტანტს:

„მოახსენესუ, პატენი, აღარიც სიმინდი რე, აღარიც ღომი, აღარიც ლობიო იპალუ, ჩქიმი პატენი და... ივხოცებით შიმშილით, ზაბრაზნები გვესროლო ისი გივრჩენია ამისთანა ყოფასუ და აწი შენ იცი და შენმა დეპუტანტობამ“...

ელიან, თურმე, მეგრელები დეპუტატისაგან პურს, ფულს და იოხებენ გულს. მაგრამ სანამ რასმე გამოუგზავნიდენ „დუმა“ გაპანჩურეს და პატენი მეგრელები შიმშილით ამოწყდებიან...

კაკარდიანი.

გარე—კახეთი. შეთე ბელადმა რაკი აქ ვეღარა გააწყორა „მდიდართა ძარცვით და ღარიბთა დაცვით“, პროვოკატორობით და გაიმვერობით, ამიტომ შიგნით კახეთს გაემგზავრა სამოღვაწეოთ, წასვლის წინად გამოუცხადა ამხანაგებს—რადგანთაც... რომელიცა რომ... შიგნით კახეთში ჯერ ვერ მიცნობენ, ადვილად შესაძლოა იქაც ორიოდე თვე ვიცხოვრო და ვიცოხნო პარტიის სახელითაო.

ხაშმი. კურნუსო შვილმა, სეითმა, მათმა მიმდევრებმა ნაველას ბიჭმა, ჭილია პირლიამა, და გიგომ, წმინდა სოციალისტური პარტია შეადგინეს, რათა მევახშეობა და მექელეხერობა განაახლონ. პირველი ორი ვექსილებსა და „ლისტებს“ ამზადებენ, მესამე ფართუკს იმზადებს ქელეხში სამზარეულოთ, ხოლო მეოთხესა და მეხუთეს შიკრიკობა და ენატანობა ექნებათ მინდობილი.

მარტყოფი. მამასახლისის ნიკოლოზ ბერიშვილის მკვლელთაგანი სალახი და კაზნაჩეი თავდებობით გაანთავისუფლეს, ხოლო დათიკო ბანეთიშვილი, ებიტოშვილი და იორდანიშვილიც აპირობენ გამოსვლას—სოფლის მოწინავე საზოგადო მოღვაწეთა სამუდამოთ გასაქრობათ.

ხაშმი. ჯაგიას ბიჭმა ახალი პარტია შეადგინა სოფლის პატიოსანი ხალხისგან; ქათამ—ბატ—ინდოურებისა ქურდებისა და სოფლის წურბელათაგან. ჯერჯერობით, ვინაიდან მას ჯამსა შინა, ჯაგიას ბიჭის თავსა ზედა „17 ზარბაზანი ჰქუხდა“ თურმე, ამიტომ, „ჭკვა“ შეთხელებია, მიუხედავად ამისა ნარდისტების „კურსები“ შემოიღო და ადგილობრივ „ინტელ-ღლენტიას“ კამათლების შაშუფანჯით ართობს!.. გლეხებიც წვალობენ... და... სწავლობენ...

ჭიტა.

დეპეშები

ყაზან-ბლანკა. (მოსკოს სამეფო) ბენერალი დრიუდ აუწყებს მთავრობას—მოსკონელნი დიდად ნასიამოვნები და უაღრესი ბედნიერნი არიან, რომ ყველა ციხე სიმაგრეები დავუნგრიეთ, დაბა-სოფლები გავუნადგურეთ და ათასობით ამოვწყვიტეთო, რაც უფრო მეტს გასაჭირს მივაყენებთ მით უკეთესია, რადგან მოსკონელთა ერი სიყვარულით და მადლობით მოგვიხსენიებს საშვილისშვილოთ და უკუნითი უკუნისამდეო. მთავრობა ეჭვში შესულა ბენერალი დრიუდის მოხსენებით.

გაგა. წარჩინებულ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა ერთხმად დაადგინეს ამიერიდან ყველა დაჩაგრულ ერებს სრული უფლება მიეცეთ თვით გამორკვევისა და თავისუფლად ცხოვრებისა თავის აზრის და იდეალების მიხედვით. ამ გარდაწყვეტილებას წინააღუდგენ ქართველების დელეგატები, რომელთაც მხარი დაუჭირეს სომხებმა, პოლონელებმა ებრაელებმა, ყურეველებმა, ინდოელებმა და სხვებმა. არ გვინდა თავისუფლება, მონობას ვართ შეჩვეულნიო.

ტფილისი. ძლივს ხმა ამოიღო ცხრა მთას იქით საზაფხულო იალაღზე გამგზავრებულმა ვ. ვართანიანცმა, ქა-

ლაქის საყასპოს ბეითლების დედა-ბოძმა. იმართლა თავი და ამტყუნა ქალაქის გამგეობა: ერთი რომ მტერს სწიხლა ათი თავის თავს უთავაზა. საუცხოვოა ის ადგილი მართლებილა, სადაც გაალმასებული ვართანიანცი ამტკიცებს, რომ სამნი ოთხის ჯამაგირს ვიღებდითო. კაცი რომ თავის თავს უზამს იმას მტერი არ უზამს!

ბათომი. ადგილობრივი გაზეთები, ალბად შესისხლხორცებული კონკურენციის მოსაზრებით, აღარ გამოდიან და არც შემდეგ აპირებენ გამოსვლას, რითაც საზოგადოება დიდად დაამწარეს, თუმცა კი ყველას გულს მოეშვა—ძლივს გათავდა ბეჭდური „დანოსებისა“ და დაბეზღების ხანა.

ცემით-გვემით ცნობილი რედაქტორი, საზოგადოების სულის მოსაიდუმლე, ამხანაგებზე ჩუმ ჩუმად მოკარნახე აქედან დიდის ამბით და ზეიმ-ზარით გააცილეს. მის გაცილების შემდეგ გაიმართა ჩვეულებრივი ნადიმი, რომელზედაც რეჩებს მუნჯურის მეთოდით ამბობდნენ.

სოხუმი. არსდება წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების სააგენტო, რომელსაც აზრად აქვს—არა ჩვეულებრივი პირნათლიანობა ჩვენის დროისათვის—ანგარიშების პატიოსნურად გასწორება გამომცემლებთან. ამის გამო საქართველოს სხვა და სხვა კუთხის აგენტები საჩივრის შეტანას აპირებენ, სადაც ჯერ არს,—გაუქმდეს ჯერ არ დაბადებული სააგენტო, რადგან თუ აგენტობა მოტყუებასა და გაღლეტაზე არ იქნება დამყარებული, რაღა გვეშველება, არვინ გვენდობა და სათლელი დუმა შემოგვაკლდებაო. ამ საბუთიან თხოვნაზე მსურველთ ხელს აწერინებენ: ბათუმის, ოზურგეთის და ჩოხატაურის აგენტებთან.

სამეგრელო. კორესპოდენტები და ჟურნალ-გაზეთები ტყუილს სწერდნენ, რომ სამეგრელოში შემოდგომაზე შიმშილობა დადგებაო. ყველაფრით სავსე ვართ სიმინდით და ღომით, საქონლით და მოსავალით. მართალია ადგილობრივი ადმინისტრაცია, და სტყუიან „ბუნტოვჩიკები.“ თუმცა შიმშილით ვიხოცებით.

გურია. ყველაფერი უხვათა გვაქვს. ვინ მოსჭორა შიმშილობაო. გურია—უმადურია. დიდება ჩვენს მზრუნველ ადმინისტრაციას.

ქართლი. ჩვენისთანა ბედნიერი ნეტავ არის სადმე ერი? არ ვინ გვახლავს ჩვენ მშიერი! ჰერი, ჰერი, ჰერი! ცინგალა გოგონავ!

განცადებანი

„ისარი“-ს ხელის მომწ. საყურადღებოდ.

„ისარი“-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტინია, რომ გაზეთის გზავნა მოესპობათ, თუ დროზე არ შემოიტანენ ხვედრ ფულს.

პირველ სექტემბრიდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს: ტფილისში—3 მ. ტფილისს გარედ—3 მ. 50 კ., საზღვარ-გარედ—4 მ. 50 კაპ.

ერთი თვით გაზეთი ღირს: ტფილისში 75 კაპ., ტფილისს გარედ—80 კ., საზღვარ-გარედ—1 მ. 50 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ადრესის გამოცვლა ღირს: ტფილისიდან ტფილისს გარედ ერთი მანეთი, სხვა ადგილას—ორი აბაზი.

ადრესი: ელისაბედის ქუჩა, № 1.

ყოველ-კვირეული მხატვრობითი ჟურნალი კარიკატურებით

„ნიშადური“

პროგრამმა:

1) სიტყვა-კაზმული მწერლობა: ლექსები, მოთხრობები, პიესები. 2) პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება ჩვენში, რუსეთში და საზღვარგარედ. 3) ფელეტონები ლექსათ თუ პროზად თანამედროვე ჭირ-ვარამზე. 4) სცენები, იგავ-არაკები, საუბრები სხვა და სხვა საგნებზე. 5) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. 6) ილიუსტრაცია—სურათები გამოჩენილ პირთა და საზოგადო მოღვაწეთა, ნახატები. 7) კარიკატურები დღიურ ჭირ-ვარამზე და საზოგადო თუ კერძო ცხოვრების ცოდვებზე 8) განცხადებანი ფასიანი და უფასო ყბად ასაღებად, წყალ წასაღებად.

ფასი: წლით 5 მ. 1/2 წლით 3 მ., **ცალკე № 10 კ.**

ხელის მოწერა ჯერ-ჯერობით არ მიიღება, რადგან აწინდელი უგვანო წესწყობილების გამო ჟურნალის ბედ-იღბალი გამოურკვეველია.

✦ **საჭირონი არიან** ✦

პროვინციიდან პირიანი აგენტები

და შხამიანი თანამშრომლები.

რედაქტორ-გამომცემელი **ვალერიან გუნია.**
მისამართი ფოსტით: Тифлисъ, Валеріану Гуніа.
რედაქციის ადრესი—მატინოვის ქ., № 9, ვერაზე.

Продолжается подписка на 1907 годъ

НА БОЛЬШУЮ ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСК. И ЛИТЕРАТУРНУЮ ГАЗЕТУ

„ЗАКАВКАЗЬЕ“

Второй годъ изданія.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА: **до конца года 2 р. 50 к.** помѣсячно по **50 к.** *Заграницу втрое.*

Пріемъ для личныхъ объясненій въ редакціи ежедневно отъ 9—4 ч. дня и 6—7 час. веч. Редакторъ принимаетъ 1—2 ч. дня.

Тифлисъ, Головинскій пр., д. № 37. Телефонъ редакціи и конторы № 58.

Адресъ для телеграммъ: Тифлисъ, „Закавказье“.

Редакторъ-издатель **Пар. Ал. Готуа.**

ახალი ელექტრო-მბეჭდავი სტამბა

„სორაპანი“

ღებულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეს გასაკეთებლათ სუფთად და დანიშნულ დროზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარვინის თეორიით.

(კურთუკულმა).

კაცის შირუტყვად გადაგვარება.



…პური შეყვირი.

ნიშადურის № 3-ში დაიბეჭდება ივ. გომართელის პიესა „ექიმთან“ და ია ეკალაძის „ერთი პალტოს ამბავი.“

ტფილისის რესტორანში



„ნამდვილ რუსთა წევრი.“ მაიცა, ბიჭო, დუმაში ნუ მცემ!..
ლაქია. რესტორანი სახელმწიფო „დუმა“ ხომ არა გგონიათ, რომ თავხედობთ და ვირივით ღრიალებთ!..

ცოლქმრული ბედნიერება.

—შე საძაგელო თუთიყუშო, რად მღალატობ: როცა ქმარი შინ არის, რად გააპიანურებ ხოლმე: კოლა მაკოცე—მომეხვიე. ჩემს ქმარს კოლია კი არა გრიგოლი ჰქვიან!..

რედ.-გამომცემელი ვალერიან გუნია.

ელექტრომბეჭდავი ამხ. „ს ო რ ა პ ა ნ ი“ მადათოვის კუნძული, სახლი მუხრანსკისა, № 1.